აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №5

აბაშა, 2026 წლის 23 აპრილი

ოქმი №5

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომისა

აბაშა, 2026 წლის 23 აპრილი

სხდომას ესწრებოდნენ: იასონ კიზირია, პაატა ხოშტარია, მამუკა კვიტაშვილი, ზეზვა მაკალათია, დავით ცანავა, შალვა ჯღარკავა, გიორგი ქოიავა, ზაალ ნოდია, როინ კაჭარავა, ზაზა ალასანია, მურთაზ ჯალაღონია, ბაქარ შელია, ლეონტი ნადარეიშვილი, გია მიგინეიშვილი, სევერიანე ქოიავა, ანდრო ქვილითაია, მურმან გუნია, გიორგი მიმინოშვილი, გიორგი პაპასკირი, ბესარიონ ნადარაია, ვლადიმერ ავალიანი, თორნიკე ესაკია, ზვიად კუპრეიშვილი, დიმიტრი ვერულაშვილი, იაგო თოდუა, რეზო ქავთარაძე, გელა ლაბარტყავა და გელა თოფურია.

აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ა. კაჭარავა.

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - გ. ხურცილავა, საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საკრებულოს აპარატის უფროსის მოადგილე - ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - თ. შოთაძე, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი- იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი და საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 აპრილის რიგგარეშე №5 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. ი. კიზირია

2. „აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. ა. კაჭარავა

1

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 აპრილის რიგგარეშე №5 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

საკრებულოს თავმჯდომარე ი. კიზირიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 აპრილის რიგგარეშე №5 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი.

კენჭი ეყარა განკარგულების პროექტს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 23 აპრილის რიგგარეშე №5 სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 28 წევრი.

განკარგულების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 28 წევრმა.

წინააღმდეგი 0.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
განკარგულება №30 (თან ერთვის)

2

მოისმინეს:

„აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს. ა. კაჭარავა

მომხსენებელმა ა. კაჭარავამ სხდომის მონაწილეებს გააცნო „აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი. განმარტა, რომ ბიუჯეტის პროექტში გასწორდა დაშვებული მექანიკური შეცდომა. კერძოდ 05.01.05. კოდით გათვალისწინებული პროგრამის დაფინანსების თანხა ლარში ნაცვლად 18.5 მიეთითა 150.0 .

მომხსენებელს კითხვით მიმართეს ი. კიზირიამ, გ. ლაბარტყავამ და გ. თოფურიამ.
კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს „აბაშის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის №16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
დადგენილების პროექტს მხარი დაუჭირა საკრებულოს 27-მა წევრმა.
წინააღმდეგი: 1.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო
დადგენილება №8 (თან ერთვის)

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე: ი. კიზირია